

**განმარტებითი ბარათი**  
**საქართველოს კანონის პროექტზე**  
**„ელექტრონული კომერციის შესახებ“**

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

**ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:**

დღეის მდგომარეობით, საქართველოში არ არსებობს „საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებების“ ( ელექტრონული კომერციის) პროცესის მომწესრიგებელი კანონმდებლობა, ამასთან, არ არსებობს რაიმე სახის რეგულაცია, რომელიც კრძალავს „შუალედური მომსახურების მიმწოდებლებისთვის“ ზოგადი მონიტორინგის ვალდებულების დაწესებას და ითვალისწინებს მათი უფლება-მოვალეობების განსაზღვრას, აგრეთვე ინტერნეტ სივრცეში არსებული უკანონო ინფორმაციის ამოღების მოთხოვნით მიმართვის სისტემა, ამოღების ვალდებულების წარმოშობის საფუძველი და ამ ვალდებულებისგან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები. აგრეთვე, არ არსებობს ელექტრონული კომერციის პროცესში მომსახურების მიმღებთა უფლებების დაცვისა და მომსახურების მიმწოდებლის მიერ მინიმალური ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მომწესრიგებელი კანონმდებლობა, რაც ამცირებს ნდობას მომსახურების მიმწოდებელთა მიმართ და ზრდის რისკებს მომსახურების მიმღებთათვის.

**ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:**

კანონის პროექტის შემუშავება განპირობებულია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით შუალედური მომსახურების მიმწოდებლების (ISP) დეფინიციის, მათი უფლებებისა და ვალდებულებების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრის შესახებ აღებული ვალდებულებით და ქვეყანაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობით, რომლის პირობებშიც შუალედური მომსახურების მიმწოდებლები არ არიან დაცული ზოგადი მონიტორინგის ვალდებულებისგან, რაც შესაძლოა ნებისმიერ მომენტში, საკანონმდებლო რეგულირების არ არსებობის პირობებში ძალზედ მძიმე ტვირთად დააწვეს მათ.

ამასთან, ელექტრონული კომერციის პროცესში, მომსახურების მიმღებთა უფლებების დაცვა და მომსახურების მიმწოდებლების მხრიდან ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, აგრეთვე საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების/ელექტრონული კომერციის პროცესში ელექტრონული ხელშეკრულების დადების გარკვეულ საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევა აუცილებელია ელექტრონული კომერციის განვითარებისთვის, რათა მომსახურების მიმღებთა უფლებების დაცვის მიმართულებით გადადგმული ქმედითი ნაბიჯებით მოხდეს მომსახურების მიმღებების წახალისება, უფრო აქტიურად ისარგებლონ ელექტრონული კომერციის სერვისებით, მით უფრო მაშინ, როდესაც ახალმა კორონავირუსის პანდემიამ კიდევ ერთხელ დაგვანახა ელექტრონული სერვისების გამოყენების მნიშვნელობა.

**ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:**

ქვეყანაში მეწარმეობის და ელექტრონული ვაჭრობის შემდგომი განვითარება, საქართველოს გლობალურ სავაჭრო სივრცეში ინტეგრირება, რაც დამატებით დადებით ზეგავლენას მოახდენს ქვეყნის სავაჭრო იმიჯზე და მისი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური

მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ასოცირების შესახებ ევროკავშირთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების თავისუფალი გადაადგილებით უზრუნველყოფის გზით, შიდა ბაზრის სათანადოდ ფუნქციონირების ხელშეწყობა და გაუმჯობესება, აგრეთვე ელექტრონული კომერციის პლატფორმების მიმართ ნდობის ამაღლება ელექტრონული კომერციის დაცული ინტერნეტ სივრცის უზრუნველყოფით, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია და კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ევროპის ერთიანი ციფრული ბაზრისკენ ინტეგრაციისთვის.

#### **ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, დარეგულირდება, ელექტრონული კომერციის/საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებასთან დაკავშირებული საქმიანობა, ამ მომსახურების გამწვევი პირების პასუხისმგებლობა, აგრეთვე საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების მიწოდების პროცესში ამ კანონის მიზნებისთვის ელექტრონული ხელშეკრულების ცნება და მისი გაფორმების წესი და პირობები. განისაზღვრება საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებების მიმწოდებლის და მიმღების საქმიანობის პრინციპები, მათი უფლებები და ვალდებულებები.

ამ კანონის მიზნებისთვის, მომსახურების მიმწოდებელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებას. მაგალითად, მომსახურების მიმწოდებელი არის საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების (შუალედური მომსახურების) მიმწოდებელი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებლობა ეძლევა მოვაჭრესა და მომსახურების მიმღებს განახორციელონ დისტანციური ყიდვა-გაყიდვა სავაჭრო პლატფორმის მეშვეობით (ვებსაიტი, აპლიკაცია). კანონის მოთხოვნაა, რომ სწორედ აღნიშნული სუბიექტი უნდა იყოს მარტივად იდენტიფიცირებადი მომსახურების მიმღებისთვის და აკმაყოფილებდეს იდენტიფიცირებისთვის საჭირო მინიმალურ მოთხოვნებს, რათა მომსახურების მიმღებისთვის მარტივად აღქმადი იყოს ვისი მეშვეობით იღებს კონკრეტულ პროდუქციას თუ სერვისს.

კანონპროექტის პირველი მუხლით განისაზღვრება კანონის რეგულირების სფერო და მიზანი, ელექტრონული კომერციის ცნება აგრეთვე ის მომსახურებები, რომლებზე არ ვრცელდება კანონპროექტით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები. კანონპროექტით განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები არ ვრცელდება ისეთ სფეროებზე, რომელიც ექცევა სპეციალური რეგულირების სფეროში, მათ შორის მაგალითად ეროვნული ბანკის რეგულირების სფერო, საგადასახადო სფერო, ამ კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ სფეროებზე და ა.შ.

გარდა ამისა, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდებასთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია სპეციალური, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს შესატყვისი რეგულირება. კერძოდ, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი და მის საფუძველზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები ადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ ვალდებულებებს. მაგალითად, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი არეგულირებს მომხმარებლის მიერ გადაცემული ინფორმაციის საიდუმლოების საკითხებს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებით

დამტკიცებული „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტის მე-5 მუხლით განისაზღვრება მომხმარებლებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, ამავე რეგლამენტის მე-12 მუხლი აწესრიგებს მომხმარებელთან დისტანციური გარიგების დადების წესებს და ა.შ. აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონპროექტი არ გავრცელდება ისეთ ურთიერთობებზე, რომლებიც უკავშირდება ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას და რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით. კანონპროექტის აღნიშნული საგამონაკლისო დათქმა არ შეეხება ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლების, როგორც შუალედური მომსახურების მიმწოდებლების უფლება-მოვალეობებს, რაც განისაზღვრება კანონპროექტის მე-11-მე-14 მუხლებით.

მე-2 მუხლით მოცემულია ტერმინთა განმარტება, რომლითაც შემოთავაზებულია ქართული საკანონმდებლო სივრცისათვის სრულიად ახალი დეფინიციები, ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დეფინიციები გამოიყენება მხოლოდ ამ კანონის მიზნებისათვის და შესაძლებელია სხვა კანონმდებლობის მიზნებისთვის სხვაგვარად იქნას გაგებული. მაგალითისათვის, საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება არის - ელექტრონული საშუალებებით და მომსახურების მიმღების ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე, ანაზღაურების სანაცვლოდ მომსახურების დისტანციურად გაწევა. შემდგომ ქვეკუნტებად ჩაშლილია ოთხივე კომპონენტის მნიშვნელობა, რათა დაინტერესებული პირებისთვის კანონი იყოს მარტივად აღსაქმელი. გასათვალისწინებელია, რომ თუკი აღნიშნული ოთხივე კომპონენტი არ გვაქვს სახეზე ასეთ შემთხვევაში საქმე არ გვაქვს ელექტრონულ კომერციასთან და შესაბამისად საკითხი სცდება ამ კანონის რეგულირების სფეროს. ევროპელი ექსპერტის მიერ მოწოდებულ იქნა საინფორმაციო საზოგადოების დეფინიციის მაგალითები, რომელთა თანახმადაც: საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებად ჩაითვლება ტრანსპორტირების მომსახურება, როდესაც მომსახურების მიმღები უკვეთავს მომსახურებას აპლიკაციის მეშვეობით და ამ შეკვეთის განხორციელების მომენტში არ აქვს შეხება მომსახურების მიმწოდებელთან. ასეთი შემთხვევაა ტაქსის მომსახურება, როდესაც აპლიკაციით ხდება გამოძახება, ლოკაციისა და დანიშნულების ადგილის მითითება და ამასთან გადახდა ხორციელდება ელექტრონულად და მთელს ამ პროცესში მძღოლი არ არის ჩართული, ის მხოლოდ ახორციელებს ოფლაინ მომსახურების მიწოდებას, საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება კი ხდება მისგან დამოუკიდებლად ოთხივე კომპონენტის დაკმაყოფილებით. ასევე, საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებაა ნებისმიერი განხორციელებული ტრანზაქცია ფიზიკური თანმყოფობის გარეშე ელექტრონული მოწყობილობებით, დისტანციურად, მიმღების ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე და ანაზღაურების სანაცვლოდ. საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებად არ ჩაითვლება, მაგალითად სამედიცინო პროცედურის/ოპერაციის ჩატარება ელექტრონული საშუალების გამოყენებით, როდესაც პაციენტი მომსახურების მიმწოდებლის ე.ი ექიმის თანმყოფი პირია; ელექტრონული კატალოგის გაცნობა კომპანიის ოფისში ან მაღაზიაში კონსულტანტთან ერთად; თვითმფრინავის ბილეთის დაჯავშნა სამოგზაურო სააგენტოს ოფისში კომპიუტერის ან სხვა ელექტრონული მოწყობილობის გამოყენების მიუხედავად; ელექტრონული ვიდეო თამაში სათამაშო კლუბში, როდესაც მომსახურების მიმღები ფიზიკურად თანმყოფია; ასევე საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება არ არის მომსახურება, რომელიც მიწოდებული არ არის ელექტრონული მოწყობილობებით მონაცემთა დამუშავების გზით. მაგალითად: ბანკომატიდან თანხის მოხსნა ან მატარებლის ბილეთის სპეციალური მოწყობილობიდან

შემენა, იგივე ჩასარიცხი აპარატებიდან (PayBox) განხორციელებული ტრანზაქცია; პარკინგის ან ავტომაგისტრალზე დაშვების აპარატები; ხმოვანი ტელეფონით მიღებული ნებისმიერი სახის მომსახურება, ასევე პირდაპირი მარკეტინგი; ხოლო მომსახურებები, რომლებიც არ არიან მიწოდებული ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე, მაგალითად არის ტელემაუწყებლობა და რადიომაუწყებლობა, აგრეთვე ტელეტექსტი, აღსანიშნავია, რომ გამოძახებით აუდიოვიზუალური მედია მომსახურება მიეკუთვნება საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებებს.

ამასთან, ტერმინების განმარტების ნაწილში მნიშვნელოვანია ყურადღება იქნეს გამახვილებული მომსახურების მიმღების დეფინიციაზე, რომელიც ორ ქვეპუნქტად იყოფა. მე-2 მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიმღები არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პროფესიული, სამსახურებრივი, თუ სხვა მიზნებისთვის იღებს საინფორმაციო საზოგადოების მომსახურებას, ხოლო მე-2 მუხლის „დ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიმღები არის პირი, რომელიც ასევე ექცევა მომსახურების მიმღების დეფინიციის ქვეშ, თუმცა უფრო ვიწრო გაგებით, ანუ „დ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიმღები არის ფიზიკური პირი, რომელიც მოქმედებს მხოლოდ საკუთარი პირადი ინტერესიდან გამომდინარე ელექტრონული კომერციის პროცესში. ამ ორი კატეგორიის მომსახურების მიმღების ერთმანეთისგან გამიჯვნა აუცილებელი გახდა იმდენად, რამდენადაც, კანონპროექტის თანახმად, პირებზე, რომლებიც არ არიან მე-2 მუხლის „დ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები შესაძლოა გავრცელდეს განსახვავებული წესები. კანონპროექტის მესამე მუხლის მიზანია ნათლად გაესვას ხაზი, რომ ელექტრონული კომერცია/საინფორმაციო საზოგადოების მომსახურება არ არის ლიცენზირებადი საქმიანობა და ამ საქმიანობის დასაწყებად საჭირო არ არის რაიმე სახის სპეციფიკური ლიცენზიის ან ნებართვის აღება ან/და ავტორიზაციის გავლა. რა თქმა უნდა ეს დეფინიცია არ ვრცელდება ელექტრონული კომერციის/საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების მეშვეობით ისეთი პროდუქციის ან მომსახურების მიწოდებაზე, რომლისთვისაც საქართველოს კანონით დადგენილია სალიცენზიო რეჟიმი, ასეთ შემთხვევაში პირი ლიცენზიას ან ნებართვას იღებს ან ავტორიზაციას გადის ძირითადი საქმიანობისთვის, რისგანაც ეს კანონი მას არ ათავისუფლებს.

მე-4 მუხლი ადგენს საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების მიმწოდებელთა ვალდებულებას ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია მიაწოდონ მომსახურების მიმღებთ. ამ მუხლის მიზანია ელექტრონული კომერციის პროცესში მომსახურების მიმღებთა უფლებების დაცვა.

მე-5 მუხლი ასევე ემსახურება მომსახურების მიმღებთა უფლებების დაცვას, იმდენად, რამდენადაც ადგენს გარკვეულ ვალდებულებებს საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების შემადგენელი კომერციული შეტყობინებების გარკვეული სახის მოთხოვნების დაცვით მიწოდების თაობაზე. მეორე პუნქტი განსაზღვრავს, რომ პირდაპირი მარკეტინგის მიზნებიდან გამომდინარე გაგზავნილი არასასურველი კომერციული შეტყობინების მიმართ მოქმედებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

კანონპროექტი ასევე განსაზღვრავს, რომ მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება არ ათავისუფლებს მომსახურების მიმწოდებელს იმ

ნორმატიული აქტებით დადგენილი ვალდებულებებისგან, რომლებიც ინფორმაციის მიწოდების უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს.

მე-6 მუხლი განსაზღვრავს ელექტრონულ კომერციაში მონაწილე მხარეების პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულებას და ამ ვალდებულების დარღვევისთვის მხარეთა პასუხისმგებლობის გადაწყვეტის წესს.

მე-7 მუხლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ელექტრონული ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს სამოქალაქო კოდექსით ხელშეკრულების გაფორმებისათვის დადგენილი ნორმები. ამასთან, ელექტრონული ხელშეკრულების ცნება ნოვაციაა ქართულ საკანონმდებლო სივრცისათვის, ტერმინთა განმარტებაში მოცემულია მისი დეფინიცია, ხოლო მეშვიდე მუხლის მეორე პუნქტი ასევე აზუსტებს, რომ ელექტრონული ხელშეკრულების ხელმოწერის აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენება ელექტრონული ხელმოწერისათვის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნორმები.

მე-8 მუხლით განსაზღვრულია მომსახურების მიმწოდებლის მიერ, მომსახურების მიმღებისთვის ხელშეკრულების გაფორმებისთვის საჭირო ყველა ტექნიკური ეტაპის შესახებ ინფორმაციის მოწოდების ვალდებულება.

მე-9 მუხლით განსაზღვრულია ელექტრონული შეკვეთის განთავსების პირობები, მომსახურების მიმღების გარკვეული ვალდებულებები მომსახურების მიმღების იმ ტექნიკური შესაძლებლობებით და ამ შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფის ვალდებულებები, რომლებიც აუცილებელია შეკვეთის განთავსებისათვის.

მე-10 მუხლი აწესებს ამ კანონის მე-2-მე-3 თავებით განსაზღვრული ინფორმაციის სახელმწიფო ენაზე მიწოდების ვალდებულებას, თუმცა, ასევე უფლებას აძლევს მომსახურების მიმწოდებლებს, რომ აღნიშნული თავებით განსაზღვრული ინფორმაცია დამატებით მიაწოდონ მათთვის სასურველ სხვა ენებზე.

მე-11 მუხლი ეხება გატარებას, რომელიც არის შუალედური მომსახურების ერთ-ერთი სახე და გულისხმობს ინფორმაციის გატარებას (გადაცემას) სერვერზე. ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, ინფორმაციის გატარების, ისევე როგორც სხვა შუალედური მომსახურების მიმწოდებელი, თავისუფალია ზოგადი მონიტორინგის ვალდებულებისგან და პასუხისმგებელია არალეგალური კონტენტის გატარებაზე მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, სწორედ ამ შემთხვევებს ეხება ძირითადად აღნიშნული ნორმა.

მე-12 მუხლი განსაზღვრავს შუალედური მომსახურების - ქეშირების მიმწოდებლების უფლებებსა და ვალდებულებებს ხოლო მე-13 მუხლი განსაზღვრავს ჰოსტინგის, როგორც შუალედური მომსახურების მიწოდებისას მიმწოდებლის პასუხისმგებლობისა და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლებს.

რაც შეეხება მე-14 მუხლს, იგი განსაზღვრავს სამივე სახეობის შუალედური მომსახურების მიმწოდებლებისთვის ზოგადი მონიტორინგის ვალდებულების დაკისრების დაუშვებლობას, პასუხისმგებლობისა და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ძირითად და ზოგად პრინციპებს.

მე-15 მუხლი ადგენს ამ კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მომსახურების მიმღების მიმართვის საფუძველზე საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ აღნიშნულ შესაძლო დარღვევაზე რეაგირების ვალდებულებას.

ხოლო მე-16-მე-19 მუხლები ეხება სააგენტოს მიერ, მომსახურების მიმღებთა უფლებების დაცვის კუთხით განსახორციელებელ ღონისძიებებს. სააგენტოსთვის მიმართვის და გადაწყვეტილების მიღების წესს, ვადებსა და პროცედურებს. მე-20 მუხლი ეხება სააგენტოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მომსახურების მიმწოდებლის დაჯარიმების წესსა და პროცედურებს,

21-ე-22 მუხლები ეხება სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და საჩივრის წარდგენის ხანდაზმულობის ვადებს.

23-ე მუხლი განსაზღვრავს სააგენტოს ვალდებულებას საქართველოს მთავრობისთვის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის შესახებ.

24-ე მუხლი კი ადგენს კონკურენციის სააგენტოს ვალდებულებას ამ მუხლის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში შეიმუშავოს საქმის შესწავლის წესისა და პროცედურების შესახებ ნორმატიული აქტი.

25-ე მუხლი განსაზღვრავს ამ კანონის ძალაში შესვლის საკითხს. გარდა ამ კანონის 4-23 მუხლებისა ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ხოლო 4-23 მუხლები ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 190-ე დღეს.

**ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):**

ასეთი არ არსებობს.

**ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:**

კანონი, გარდა მისი მე-4 - 23-ე მუხლებისა ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ვინაიდან, მნიშვნელოვანია დროული ამოქმედება. ხოლო კანონის მე-4 - 23-ე მუხლები ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 190-ე დღეს, ვინაიდან, მათი ძალაში შესვლა დაკავშირებულია კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტ(ებ)ის შემუშავებასა და მიღებასთან, რომელიც უზრუნველყოფს კანონის შესაბამის მუხლებთან

დაკავშირებული საკითხების ეფექტურ აღსრულებას. ამასთან, კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუმაღლის მინიჭებას.

**ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):**

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**  
კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი, კერძოდ სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ასიგნებები.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, რადგანაც კანონპროექტით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა გარკვეული სახის ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, რაც სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას 1 000 ლარამდე ოდენობით, დარღვევის 12 თვის განმავლობაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებელს დაეკისრება უკვე დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობა, მაგრამ არანაკლებ 1 000 ლარისა, რომელიც მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში. ვინაიდან, კანონპროექტით დგინდება ახალი სახის ჯარიმა, რომლის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია არ არსებობს, სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენა დამოკიდებული იქნება დარღვევების რაოდენობასა და სახეზე.

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა დადებითი გავლენა მოახდინოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ამ პროექტით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისათვის დაჭირდება ახალი ადამიანური რესურსის დამატება. იმ დაშვებით, თუ სააგენტოს თანამშრომელთა რიცხოვნობა 10 წევრით გაიზრდება, სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე დადებით გავლენას მოახდენს ახალ თანამშრომელთა მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც კანონის ამოქმედებიდან პირველ წელს დაახლოებით იქნება 20 000 ლარის 20%, ხოლო 3 წლიან პერიოდში - 60 000 ლარის 20%.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს სახელმწიფო, ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

აღსანიშნავია, რომ USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მიერ გაცემული საგრანტო აქტივობის ფარგლებში, საკონსულტაციო კომპანია PMO-ს მიერ მომზადებულია „ელექტრონული კომერციის შესახებ“ კანონპროექტზე ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი.

აღნიშნული ანალიზის თანახმად, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი რომელიც 2022 წლის 1 ივნისს ამოქმედდა, დაკავშირებულია „ელექტრონული კომერციის შესახებ“ კანონის პროექტთან. ორივე კანონის შესაბამისად, აღმასრულებელი ორგანო საქართველოს კონკურენციის სააგენტოა და სააგენტოს რეგულირების, კონტროლის და პასუხისმგებლობის ნორმები იდენტურად არის განსაზღვრული (განსხვავდება მხოლოდ ჯარიმის გამოთვლის წესი, კერძოდ: „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის 34-ე მუხლის მიხედვით, ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს, ხოლო „ელექტრონული კომერციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მე-20 მუხლის მიხედვით, ჯარიმა განსაზღვრულია 1 000 ლარამდე ოდენობით).

კვლევის თანახმად, ამ დროისთვის, საქართველოს კონკურენციის სააგენტოში უკვე შექმნილია ახალი სტრუქტურული ერთეული და გამოყოფილია შესაბამისი ბიუჯეტი. ახალი დეპარტამენტის მიზანია მომხმარებლის უფლებების მაღალი სტანდარტების დანერგვა და მომხმარებლის უფლებების პოლიტიკისა და სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა, მათ შორის, ელექტრონული ვაჭრობის დროს. დეპარტამენტის გუნდი შედგება 10 წევრისგან და თანამშრომლის ანაზღაურება შეადგენს დაახლოებით 2000 ლარს. თუ, საჭიროებიდან გამომდინარე, სააგენტოს თანამშრომელთა რიცხოვნობა 10 წევრით გაიზრდება, ასეთ შემთხვევაში სააგენტოს დაახლოებითი ხარჯი კანონის ამოქმედებიდან პირველ წელს იქნება დამატებით 20 000 ლარი ხოლო, 3 წლიან პერიოდში იქნება 60 000 ლარი.

დამატებით, ანალიზში აღნიშნულია, რომ „ელექტრონული კომერციის შესახებ“ კანონპროექტის ამოქმედების შემდეგ, გარდა, თანამშრომლების შრომის ანაზღაურებისათვის რესურსის შესაძლო გამოყოფისა, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ექნება ერთჯერადი ხარჯი დეპარტამენტის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებისთვის (მაგ. პროცედურული სახელმძღვანელოს შემუშავება, ტრენინგი - 10,200 ლარი).

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა უარყოფითი ფინანსური გავლენა მოახდინოს საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტზე ექსპერტიზის ხარჯებთან მიმართებით. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების მიმღების უფლებების დარღვევის ფაქტი არ დადგინდა, ექსპერტიზის ხარჯი ანაზღაურდება სააგენტოს ბიუჯეტიდან. ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიცემა სააგენტოს ბრძანება, რომლითაც განისაზღვრება ექსპერტიზის ხარჯები.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:**



კანონპროექტი ითვალისწინებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით ჯარიმის (1 000 ლარამდე ოდენობით, დარღვევის 12 თვის განმავლობაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებელს დაეკისრება უკვე დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობა, მაგრამ არანაკლებ 1 000 ლარისა, რომელიც მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში) დაწესების შესაძლებლობას იმ პირთათვის, რომლებიც არ შეასრულებენ კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და დაარღვევენ დადგენილ მოთხოვნებს, ასეთ შემთხვევაში, დამრღვევი ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ შესაძლებელია დადგეს გარკვეული ფინანსური შედეგები, ჯარიმის გადახდის სახით. ამასთან აღსანიშნავია, თუკი სააგენტოს გადაწყვეტილება დამრღვევის მხრიდან იქნა გასაჩივრებული სასამართლოში, კანონპროექტი მათ არ აკისრებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ჯარიმის თანხის გადახდას.

კანონპროექტის მიღება დადებით ფინანსურ გავლენას მოახდენს იმ პირებზე, რომლებიც „ელექტრონული კომერციის შესახებ“ კანონპროექტის ამოქმედების შემდეგ საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს დეპარტამენტის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებისთვის შეიმუშავენ პროცედურულ სახელმძღვანელოს, ჩაატარებს ტრენინგებს და ა. შ. რისთვისაც მიიღებენ შესაბამის ანაზღაურებას.

კანონპროექტი ადგენს პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულებას, რომელსაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური სავარაუდოდ განახორციელებს არსებული ადამიანური რესურსების ფარგლებში, თუმცა, თუ საჭირო გახდება თანამშრომელთა რიცხოვნობის გაზრდა, ეს დადებითად აისახება იმ პირებზე, რომლებიც დასაქმდებიან და მიიღებენ შესაბამის ანაზღაურებას, რაც თითოეულ პირზე დაახლოებით 2000 ლარს შეადგენს.

სააგენტო უფლებამოსილია, საქმის შესწავლის პროცესში, აუცილებლობის შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე, თუ ექსპერტიზის დასკვნის გარეშე ვერ მოხდება საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება. თუ მომსახურების მიმღების უფლების დარღვევის ფაქტი დადგინდა, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს ექსპერტიზის ხარჯი.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

კანონპროექტი სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მისი გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ითვალისწინებს მომსახურების მიმწოდებლისთვის ჯარიმის დაკისრებას 1 000 ლარამდე ოდენობით. დარღვევის 12 თვის განმავლობაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, მომსახურების მიმწოდებელს დაეკისრება უკვე დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობა, მაგრამ არანაკლებ 1 000 ლარისა, რომელიც მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში.

ჯარიმის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნას დარღვევის ხასიათი, სიმძიმე და ხანგრძლივობა.

ბ<sup>1</sup>) ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი ზეგავლენას არ ახდენს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონის პროექტი მომზადდა USAID-ის „მმართველობა განვითარებისთვის (G4G)“ პროექტის დახმარებით.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.